№ 20 იანვარი 26, შაბათი 1891 იანვარი 26, შაბათი № 20

გაზეთი ღირს

| თვე | მანა კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ტუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. გარანცოვის ძველის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1891

ეფემია გიორგის ასული იმნაძისა გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებასა თავის საყვარელ ქალიშვილისას, ელისაბედ პეტრეს ასულ იმნაძისას და სთხოვს მობრძანდნენ შაბათს, 26 იანვარს, დილის $9^1/_2$ საათზედ, მიცვალებულის განსასვენებლად საკუთარის სახლებიდგან, რომელიც იმყოფება წმ. ნიკოლოოზის ეკკლესიის გალავანში, დიდუბის ღვთის-მშობლის ეკკლესიაში, სადაც წესს აუგებენ და დაასაფლავებენ. (1—1)

## ა. ი. ფიურერის ცირკი

შაბათს, 26 იანვარს, მეტად შესანიშნავი წარმოდგენა იქნება გამართული. დასასრულ საზოგადოების სურვილისამებრ მეორედ წარმოადგენენ საუცხოვო პანტომიმას «ივან ცარევიჩ».

ანონსი: მზადდება წარმოსადგენად ორი პანტომიმა «თამარი» და «ბრძოლა რუსებისა კაბარდოელებთან».

ყოველ დღე ვმართავთ წარმოდგენას ახალ-ახალის პროგრამით. კვირას და უქმე დღეობით ორ-ორი წარმოდგენა გვაქვს ხოლმე, დღისით ბავშვებისათვის ძლიერ დაკლებულის ფასით და საღამოობით.

ვისაც ჰსურს ცხენოსნობის სწავლა, პირობების შეტყობა შეუძლიანთ ცირკის რეჟისორ ბ-ნ ბენიამინთან. იქვე მიიღებენ ცხენებს გასაწვრთნელად.

დღის წარმოდგენა იწყება ნაშუადღევის 2 საათზედ, საღამოსი—8 საათზედ.

### ქართველთა ამხანაგობის გამგეობისაგან

ქართველთა ამხანაგობის გამგეობა უმორჩილესად ჰსთხოვს ყოველს, ვისაც-კი მოეპოვება ან შეჰკრებს ხალხურ ზღაპრებს, ლექსებს, ანდაზებს, გამოცანებს, ლეგენდებს, ლოცვებს, შელოცვებს, ცრუ-მორწმუნებებს,— გამოუგზავნოს ამხანაგობის გამგეობას დასაბეჭდად „ხალხურ ზეპირ-სიტყვაობათა“ კრებულში.

კრებულში შეტანილს ზეპირ-სიტყვაობასთან აღნიშნული იქმნება სახელი და გვარი შემკრებისა, თუ ამას მოისურვებს იგი. ადრესი: Тифлисъ правленію Грузинскаго издательскаго товарищества. (5—4)

## ახალი ამბავი

*** ამ დღეებში თავ. ციციშვილი ცხენით წასულა მარტყოფის მონასტერში. გზაზე სოფ. ოლგინსკაიასთან შეხვედრიან ურმით მომავალი გლეხები ერთს ურემში შებმულს ხარს რილასიც შეშინებია, გამოშვებულა ულლიდგან და სცემია ცხენოსანს. როდესაც ხარს ცხენისთვის რქა ამოუკრავს ბარძაყში, ცხენი დამფრთხალა და სოფლისკენ გაქანებულა. გზაზე, საუბედუროდ, ხევი ყოფილა, რომელშიაც ჩავარდნილა დამფრთხალი ცხენი თავისის პატრონითურთ. საბრალო თ. ციციშვილს მარჯვენა ფეხი ამოვარდნია, მკლავი მოსტეხია და სულ დაჟეჟილა. ცხენს-კი ფეხი მომსხვრევია და ტყავიც ბევრს ალაგას სულ გადაჰყვლეფია.

*** ამ დღეებში ტფილისის საბაქტერიოლოგიო სადგურში ჩამოიყვანეს ზაქათალის ოლქიდგან ხუთი გლეხი, რომელნიც ცოფიან მგელს დაუგლეჯია. საბრალოებს ყოველ-დღე ორჯელ უცრიან ცოფს და მორჩენის იმედიც აქეთ, რადგან სულ ათი დღეა რაც უბედურება დამართნიათ.

*** ტფილისის საქალაქო საავადმყოფოს ადმინისტრაცია ამ დღეებში ბერლინში ჰგზავნის სახელმწიფო ხარჯით ამ საავადმყოფოს ერთს ექიმთაგანს პროფესორ კოხის მიერ გამოგონილ საშუალებით სიჭლექის წამლობის შესასწავლად.

*** ამიერ კავკასიის რკინის გზის მმართველობამ განჯისა და ბაქოს შუა ოც ალაგამდე გამართა გზის ახაქცევი რკინის გზის ლიანდაგი, თებერვლიდგან ამ სადგურებს შუა მატარებლები ჩქარა ივლიან და საფოსტო მატარებელი ბაქოში საღამოს ექვს-შვიდ საათის მაგიერად ნაშუადღევის ოთხ საათზე მივა.

*** ტფილისის რკინის გზის სადგურს ახლო-მახლო შენობები ძალიან ნაკლებად არის, ასე რომ დიდს მოთხოვნილებას ვერ ასდის და ახალის სახლების აშენებელიც ჯერ-ჯერობით არავინა სჩანს. მოთხოვნილება მით უფრო ძლიერია, რომ იმდენი მომუშავენი და მოსამსახურენი რკინის გზისა ამ ადგილებს ეტანებიან, რათა თავის სამსახურზედ უფრო ხელმარჯვეთ და ახლო იყვნენ, კიდეც ამითი აიხსნება ეგონებ ამ ადგილის სახლის პატრონების უზრუნველი და აზირებული საქციელი. ეს ვაჟბატონები ქირებს-კი ბევრს იღებენ და იმისას-კი არასა ჰფიქრობენ, რომ ან სახლი გააკეთონ, ან ეზო და კარ-მიდამო შეინახონ სუფთად და ლაზათიანად. ბანებში ისე ჩადის წყალი, თითქოს ცხრილში ასხავდნენო, ეზოები სიმყრალითა და სიბინძურით არის სავსე და ქუჩები ხომ ისეთია, რომ ძაღლი არ გაიგდება და ხარ-ურმიანად შიგ ტალახსა და ტლაპოში ჩაიფლება მიმავალი კაცი.

*** ცხენის რკინის გზის ლიანდაგის რელსები მუდამ უწესო მდგომარეობაშია და ამის გამო აუარებელი საჩივარი შეაქვთ ქალაქის საბჭოში. თუმცა ამ უკანასკნელმა მოსთხოვა „უსახელო საზოგადოებას“ იმდენად აემაღლებია და გაესწორებია რელსები, რომ ეტლებს დაუბრკოლებლად და უვნებლად შესძლებოდა სიარული, მაგრამ უსახელო საზოგადოებამ ასეთი კანონიერი წინადადება ქალაქის საბჭოსი აინუნშიაც არ ჩაიგდო თურმე. აი, ამ დღეებში მეეტლეთა უსტაბაშმა დავით ბაბაევმა საბჭოში საჩივარი შეიტანა, რომ თითქმის ყოველგან ცხენის რკინის გზა უწესო მდგომარეობაშია, რაიცა დიდს ზარალს აძლევს ყველა მეეტლესაო. თავის საჩივრის დასასაბუთებლად მოიხსენია სხვათა შორის შემდეგი ამბავი, რომელიც ამას წინად მოხდა რიყეზედ და რომელმაც უმისოდაც ხელ-მოკლე მეეტლე ურუსოვი სრულიად გაალატაკა. ოთხივე თვალი ურუსოვის ეტლისა ჩაიჭედა ამოწეულს რელსებს შორის. ურუსოვი ერეკებოდა ცხენებს, მაგრამ ცხენები ადგილიდამაც ვერ იძროდნენ, ბოლოს ცხენებმა რაც ძალი და ღონე ჰქონდათ მოსწიეს ეტლს, რასაც ის მოჰყვა, რომ ეტლი ერთიანად დაიმსხვრა. ამ ნაირად ურუსოვი, ცოლისა და წვრილ-შვილების პატრონი კაცი, დარჩა უეტლოდ და მაშასადამე ულუკმა-პუროდ. ასეთ უსიამოვნო ამბავთა ასაშორებლად უსტაბაშმა მოსთხოვა საბჭოს, აასრულებინეთ „უსახელო საზოგადოებას“ ქალაქთან დადებული ხელ-შეკრულობა, რის ძალითაც ეს საზოგადოება ვალდებულია ყოველთვის წესიერად ექიროს რკინის გზის რელსებიო. საბჭომ თავისი წინადადება ხელ-ახლა გაუმეორა „უსახელო საზოგადოებას“ და გააფრთხილა, რომ თუ დაუყონებლივ არ გაასწორებთ გზას, მაშინ ჩვენ მოვახდენთ განკარგულებას და საზოგადოების ხარჯით შევაკეთებინებთ გზას, რამდენადაც საჭირო იქნებაო.

*** სოფ. ტუდიძამ (ელიზავ. გუბ.) სწერენ „Кавказъ“-ს: „მთელი ეს სოფელი აქ ჟამად კალიის კვერცხების შეგროვებაშია გართული და ადგილობრივი მთავრობაც ამ საქმეს დიდს ყურადღებას აქცევს. ყველა აქაური მკვიდრი დავალებულია წარუდგინოს მთავრობას დაწესებული რაოდენობა კალიის კვერცხისა. ამის გამო ვისაც გარემოება ნებას არ აძლევს კალიის კვერცხები თითონ შეკრიბოს,

## ფელეტონი

### საწყალი მგელი

(არაკი შჩედრინისა)

ერთხელ კურდღელი მიეშურებოდა დანიშნულ პატარძლის სანახავად და უეცრად მგელს ჩაუვარდა ხელში. მგელმა უთხრა: „შენი იღბალი, რომ ეხლა გამაძღარი ვარ და არა მსურს შეგჭამო, მხოლოდ შეიძლება-კი რამდენისამე დღის შემდეგ ან აგიგო ანდერძი და ან შეგიწყნარო და გაგიშვა თავისუფლადაო“. რას იზამდა საწყალი კურდღელი, დამორჩილდა ბედს. გავიდა დრო: კურდღელი დღედღეზედ მოელის ან შეჭმას და ან განთავისუფლებას მგლისაგან. სიძეს რომ დააგვიანდა დანიშნულთან მისვლა, ადგა ცოლის ძმა და გასწია მოსაწევევად. გზაში მოულოდნელად, ალალბედზედ წააწყდა მგლისაგან დატუსაღებულ სიძეს და თითქმის გაჯავრებით უთხრა:

— კაცო, რა ამბავია, სადა ხარ ამდენი ხანი? შენი დანიშნული ავად არის და შენს ნახვას ნატრულობსო!

კურდღელს ელდა ეცა. რას იზამს საწყალი, მგლის დაუკითხავად წასვლა არ შეუძლიან და დათხოვნასაც ვერა ჰბედავს, ტრიალებს ორ ცეცხლშუა. ადგა და ცოლის ძმამ ურჩია, ჩუმად გავიქცეთო. მგელმა ყური მოჰკრა საიდგანღაც იმათს თათბირს, მივარდა გაცხარებული და ჰკითხა, რასა ჰლაპარაკობთო. ცოლის ძმამ თავმდაბლად მოახსენა და სთხოვა, რომ შენ მიერ დაპატიმრებულ კურდღლის დანიშნული ავად არის და თუ შეიძლება, დროებით დაითხოვე იმის სანახავადაო. მგელი დასთანხმდა და დაითხოვა, მხოლოდ იმ პირობით, რომ სიძის უკან დაბრუნებამდის ცოლის ძმა უნდა დარჩენილიყო მგელთან, და თუ ის აღარ დაბრუნდებოდა დანიშნულს დროზედ, ეს საწყალი კურდღელი უნდა გამხდარიყო მგლის მსხვერპლი. კურდღელმა მიიღო თუ არა ნება წასვლისა, მოჰკურცხლა და ცოტა ხნის განმავლობაში დანიშნულთან დაიბადა. დაიწერა ჯვარი, დაჰყო იქ რამდენსამე დღეს და ბოლოს, როცა უკან, მგელთან დაბრუნების დრო მოახლოვდა, გამოემშვიდობა ახლად ჯვარ-დაწერილს სამუდამოდ, იმიტომ-რომ შეიძლება უკან ველარ დავბრუნდეო, და გამოსწია მგელთან, რომ ცოლის ძმა განეთავისუფლებინა უბედურებისაგან.

ეს სწორედ იმ დროს მოვარდა მგელთან, როცა ის ემზადებოდა მისის მოყვრის შეჭმას, და ამის მნახველმა კურდღელმა ისეთის ხმით აცნობა მგელს თავის მოსვლა, რომ კაცს ეგონებოდა, ასი ათასი კურდღელი ჰყვირის ერთადაო. მგელმა რომ დაინახა უკან დაბრუნებული კურდღელი, გაეხარდა და უთხრა, რომ კურდღლები სანდოები ყოფილხართ, ამ ჟამად არა მსურს თქვენი შეჭმა და დრომდის უცადეთ ჩემს განკარგულებას, შეიძლება ორივენი განგათავისუფლოთო. ჩვენმა მგელმა ის პირობა დავიწყებას მისცა, რომ სიძის დაბრუნებისათანავე იმის სამაგიეროდ დარჩენილი ცოლის ძმა უნდა განეთავისუფლებინა.

სხვა რომელიმე მხეცი უეჭველია გაჰკვირდებოდა კურდღლის თავ-განწირულის საქციელით, არ დააკმაყოფილებდა დაპირებას, შეიწყნარებდა და მაშინვე განათავისუფლებდა, მაგრამ ზომიერს ჰავიანსა და ცივ ქვეყნებში მცხოვრებთა შორის მგელი ყველაზედ უფრო მოკლებულია სულგრძელობას. ეს იმას-კი არ მიეწერება, ვითომ აგებულება მგელისა და შინაგანი ბუნება იყოს ასეთი. მგელს არ შეუძლიან ხორცეულის მეტი სხვა რამე სჭამოს და ხორცის საშოვნელად უეჭველად სიცოცხლე უნდა მოუსპოს რომელსამე ცხოველს და გამოასალმოს წუთი-სოფელს.

ერთის სიტყვით, აუცილებელ წესად აქვს დადებული, ყველას ვნება მოუტანოს, თუმცა ბევრჯელ იაფად არ დაუჯდება ხოლმე ეს ვერაგობა. ყველამ კარგად იცის, რომ სიკვდილი არავისთვის სასიამოვნო არ არის, მგელი-კი ყველასთან ამ იარაღით მიდის. ამის გამო ვინც ღონიერია, თავს ჰშველის, და ვინც სუსტია და თავის შველა არ შეუძლიან, იმას სხვები ჰშველიან განსაცდელისაგან თავის დასახსნევად. ამის წყალობით ხშირად მგელი მშიერი და ფერდებ-ჩადრეკილი დაძრწის. ბოლოს შიმშილისაგან გამწარებული დადგება, აიღებს მაღლა ცხვირს და ისე საზარლად დაიწყებს ხოლმე ღმუილს, რომ იმის ახლო-მახლო მყოფ ცხოველებს სული ეპარებათ. ძუ მგელი უფრო უსაზარლესად ღმუის, რადგანაც, როგორც დედას, შვილების ჯავრი უფრო აწუხებს და უფრო ჰზრუნავს იმათის გამოკვებისათვის.

ძვირად იქნება ქვეყანაზედ იმისთანა ცხოველი, რომ მგელი არ ეჯავრებოდეს და მუდამ იმის წყევლასა და კრულვაში არ იყოს. ყველა, ვინც კი თვალს მოჰკრავს, ეძახის: „წყეულო, მგელო, სულთამხუთავო და სხ.“ ამ წყევლას მგელი ყურს არ უგდებს და თავისუფლად უსპობს სიცოცხლეს თავისზედ სუსტებს. მგლის ვერაგობა იქამდის მიდის, რომ საწყალ დედაკაცსაც-კი მოსტაცა ერთად ერთი ცხვარი, რის გამოც უბედურს თვალზედ ცრემლი არ შეშრობია და მოსთქვამდა: „ჩემის ცოდვით სავსევ, წყეულო მგელო, რაზედ მომტაცე ერთად-ერთი ცხვარი და რანედ ამომხუთე სულიო!“

გავიდა ერთი თთვე, რაც მგელმა ცხვარი მოიტაცა, და მას აქეთ გემოთი არა უნახავს-რა. შიმშილისაგან შეწუხებულმა მგელმა მისცა დედაკაცის მოთქმას ბანი და ამანაც ტირილი და მოთქმა დაიწყო. ამის გამგონე კაცი ეჭვში შედის: არ იცის, რომელია მტყუანი და რომელი მართალი! ამბობენ, რომ მგელი გლეხსა სძარცვავსო, მაგრამ სამაგიეროდ გლეხიც არ აკლებს ხელს: კეტითაცა სცემს, თოფსაც ესვრის, ორმოებსაც უთხრის და ხაფანგებსაც უგებს. სოფლებში ხშირად გაიგონებს კაცი: „მგელმა ძროხა დაჰკლა, მგელმა ცხვარი მოიტაცა და სხ.“ რითია საწყალი მგელი დამნაშავე, როცა მას უამისოდ ქვეყანაზედ ცხოვრება არ შეუძლიან? კარგი, ესთქვათ, მოჰკალი მგელი! რად გინდა, ხორცი არ გამოგადგება და ტყავი, მხოლოდ ჯავრს ამოიყრი და სიამოვნებით უყურებ იმის წვეთ-წვეთობით სისხლისაგან

ეროვნული ბიბლიოთეკა

იძულებულნი არიან სხვებისგან იყიდონ. ამიტომაც ვაჭრობაა გაჩაღებული კალიის კვერცხებისა. ფუთი იყიდება ექვსი აბაზიდამ ორ მანეთამდე.“

*** საუფლისწულო მამულთა უწყებამ ერთი დიდი ქონება კიდევ შეიძინა ბორჩალოს მაზრაში. ეს ქონება ეკუთნოდა ა. ი. ჯამბაკურიან-ორბელიანს და თითქმის ორი წლის განმავლობაში ლაპარაკი ჰქონდათ ამის შესყიდვაზე. ეხლა პეტერბურგიდამ მიუღიათ ამბავი, რომ საქმე გათავებულია და ნასყიდს ქონებას ჩქარა ჩაიბარებს საუფლისწულო უწყებაო. როგორც ამბობენ, ეს ქონება 600 ათას მანეთად უყიდნია დასახელებულს უწყებას. იმავე მაზრაში საუფლისწულო უწყებას უნდა შეიძინოს თავად მელიქოვთა ქონებაც („Тифл. Листокъ“).

—

შეცდომის გასწორება: გუშინდელ ნომერში დაბეჭდილ ყაითმაზოვის გარდაცვალების ამბავში შეცდომით არის დაბეჭდილი „უწვრთვნელმა ქალაქის თავმა“, უნდა იყოს—უწინდელმა ქალაქის თავმა.

## ქალაქის არჩევანები

### II

ქალაქის მმართველობაში აქამდე საწყენი ის იყო, რომ ქართველობა წრეს გარეშე იდგა. ჩვენი დედა-ქალაქი, ჩვენის წინაპრებისაგან გაშენებული, უცებ სხვის ხელში ჩავარდა: ჩვენ ხმა აღარა გვქონდა მის ავ-კარგიანობაში. ეს იყო ჩვენი საჭირ-ბოროტო ამბავი. მოწინააღმდეგეთ იმდენი ხათრი და თავაზი არ გამოიჩინეს, რომ ჩვენთვისაც ეკითხათ რამე. გძინავთ და ნურას უკაცრაოდ, რომ თქვენს საცხოვრებელს ჩვენ დავეპატრონებითო, თქვენ არ იცით გამოყენება და ჩვენ-კი ჩვენს ლარს გავიტანთო. მართლაც გაჰყვანდათ თავიანთი ლარი. ჩვენ-კი გულ-გრილად, უგრძნობლად, უდარდელად შევყურებდით ამ საშინელს, ჩვენს გამანადგურებელს გარემოებას და ყურსაც არ ვიბერტყდით. ჩვენი დიდკაცობა მარტო სამხედრო საქმეებს უდარაჯებდა, ღარიბი ქართველობა ლუკმა-პურის ძიებაში იყო გართული, და ჩვენი სამოქალაქო საქმე, საზოგადოებური განვითარება მივიწყებული იყო. მოწინააღმდეგე, რასაკვირველია, სარგებლობდა ამითი.

დღეს, ღვთის მადლით, ფერი იცვალა ქართველობის ბედის ჩარხმა. დიდკაცობა ჰხედავს, რომ ახალმა დრომ სხვა ბაირაღი და სხვა გვარი დრომა გამოჰფინა, რომ სამხედრო ასპარეზი აღარ არის კვლივანდებულ შარავანდედით მოსილი და რომ დღეს ცხოვრების უმთავრესი ღერძი დაიჭირა სამოქალაქო ურთიერთობამ. მაშასადამე, ვისაც აქვს ვაჟკაცური თავმოყვარეობა დაიჭიროს საპატიო ადგილი ცხოვრების მოედანზე, ძალაუნებურად უნდა კიდეც ყური უგდოს ამ ცხოვრების მოთხოვნილებას. უამისობა შეუძლებელია. ვინც ცხოვრების ლოღიკას ფეხს აუქცევს, ის ყველაფერში განაპირებული იქნება, ყოველგან დარჩება პირში ჩალა-გამოვლებული.

აი აქ უნდა ეძიოთ ის უეცარი გამოფხიზლება, რომელიც ვნახეთ წლევანდელ საქალაქო არჩევანების დროს, შესახებ ქართველ მეკენჭეთა. პირველი ნაბიჯი იყო და თანაც ისეთი მედგარი, ისეთი ძლიერი და მოხერხებული, რომ მტერმაცა და მოკეთემაც პირი დააღო განცვიფრებისა და მოულოდნელობის გამო. ამას შემდეგ ოთველი მეცადინეობა გაიძვერებისა და ჩვენის გამოღვიძების მტრებისა ამაოა. საქმე თვალის ახელა იყო, ქვეყნიერების დანახვა, ავ-კარგიანობის შეტყობა. რა-კი ეს მოჰხდა, რაკი ყველასთვის აშკარა გახდა ჩვენი ხალისი, ამ სასიქადულო ამბისკენ მიმართული, ეხლა ფიქრი აღარაფრისა უნდა გვქონდეს. მერმისი ჩვენია ჯერ იმიტომ, რომ იგი ჩვენი სამკვიდროა ჩვენს დედა-ქალაქთან შეხორცებული, და მეორედ იმიტომ, რომ კანონიერმა სურვილმა გაჰმსჭვალა ქართველობა.

თუ მაგრეა, მაშ რატომ ეხლავ არ ჩავიგდეთ ქალაქი ხელშიო?—მკითხავენ აქეთ-იქიდამ. მე მგონია, თვით ქალაქმაც კარგად იგრძნო, რომ ჩვენ იგი მართლაც ჩავიგდეთ ხელში. თუმცა გამგეობის ამორჩევაში ქართველობას აჯობა მოწინააღმდეგემ რიცხვით, მაგრამ მთელმა ქალაქმა შეიტყო პირველსავე კრებაზე, წარსულს ორშაბათს, რომ ქალაქის საბჭოში გაისმა ხმა ნამდვილის გულ-შემატკივრობისა. პირველი კრება იყო და ამ კრებაზე ჩვენ გვესმოდა კვლავინდებური ბაასი კი არა, რომ აცა ეს გვერდი ჩამოვაცალოთ ქალაქსა და გამოვრჩეთ რასმეო, არამედ სულ ახალი, შეუჩვეველი სიტყვა-პასუხი: ყოველი ღონისძიება უნდა იყოს მიმართული იმაზედ, რომ რაც შეიძლება ნაკლები ხარჯი გავწიოთ და მომეტებული საქმე გავუკეთოთ ჩვენს დედა-ქალაქსაო, ვეცადნეთ შევამოკლოთ ხარჯი, რომელიც ტვირთად აწვება ტფილისის მცხოვრებს და სარგებლობის მაგიერ ზარალის მეტი არა მოაქვს-რაო. აი სად არის ჩვენი გამარჯვება. ვინც უნდა იყოს ქალაქის გამგეობაში, გინდა სომეხი, გინდა ურია, გინდა თათარი, ოღონდ ყველა მათგანს ზურგში ედგეს მართალი გულ-შემატკივარი ქალაქის მცხოვრებლებისა. ჩვენი გამარჯვება და მოწინააღმდეგეთა დამარცხება აქ არის...

მეკენჭე

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

თელავი, 16 იანვარი. ჩვენმა წმ. ნინოს დედათა სასწავლებელმა ჩვეულებისამებრ იდღესასწაულა 14 იანვარი. დილის თერთმეტ საათზე სასწავლებლის დარბაზში დაიწყო პარაკლისი, რომელსაც დაესწრნენ თავმჯდომარე სასწავლებლის გამგეობისა ქ-ნი კლავდია მიხეილის ასული ბოლაუტისა, გამგეობის წევრნი: კნეინა ელისაბედი ვახვახოვისა და ქ-ნი ანნა ივანეს ასული ვოლოხოვისა, წინამძღვარი თავად აზნაურობისა, მაზრის უფროსი, ადგილობრივი ჯარის უფროსი, მოსწავლენი, მასწავლებელნი ქალნი სასწავლებლის ზედამხედველითურთ და მასწავლებელნი კაცნი და მეტად მცირე რიცხვი ყოველ გვარ წოდებისა. საკვირველია ჰეშმარიტად ასეთი გულ-ცივობა თელავის და მისის მაზრის ქართველ-სომეხთა სასწავლებლის მიმართ. თელავში დათვი რომ შემოიყვანონ, მთელი ქალაქი გამოვა მის საყურებლად და ნუ თუ დათვის ყურებაზე უმჯობესი არ არის შვილების ყურება და იმათის გონებრივის ცხოვრების ავ-კარგიანობის შეტყობა? უცხონი მოვიდნენ ჩვენის შვილების საყურებლად, ჩვენ-კი კარდაკეტილში დავსხედით, ეგონებოდა კაცს, ჩვენდა შესახები სასწავლებელში არა იყო-რა იმ დღეს. სად იყვნენ იმ სამოცამდე მოსწავლეთა მშობელნი, რომელნიც შიგ თელავში სცხოვრობენ? სად იყვნენ ისინი, რომელთა კისერზე საზოგადო ცხოვრებას დაუქდევია ამისთანა საქმის ყურადღების და თანაგრძნობის მოვალეობა. სამწუხაროა, სამწუხარო, მაგრამ უნდა გამოვტყდეთ, რომ თუმცა ბევრი რამ გვეხალისება, ბევრს რასმე მივდევთ, ამ ბევრში საუკეთესოსა და სანუგეშოს-კი არც ერთსა. განა ყველგან და ყოველთვის კერძო, პირადის სიამოვნების მეტ ნაკლებობით უნდა ვზომავდეთ ცხოვრების მიმდინარეობას?

პარაკლისის დროს სასიამოვნოდ გალობდა მოსწავლეთა გუნდი ბ-ნ მამალაძის ლოტბარობით. შემდეგ პარაკლისისა სასწავლებლის ზედამხედველმა ბ-ნმა კიკნაძემ წაიკითხა წლიური ანგარიში სასწავლებლისა.

თელავის წმ. ნინოს დედათა სასწავლებელი გაიმართა 1864 წ. ერთ კლასიან სასწავლებლად. სასწავლებლის არსებობის წყარო იყო სარგებელი კნ. ელისაბედ ქსაველის ასულის ვარანცოვისაგან შემოწირულ ათასის თუმნისა და აგრეთვე სხვა კერძო შემოწირულება. ეს სასწავლებელი გაიზარდა 1867 წ. და შეირაცხა იმ სასწავლებელთა შორის, რომლებსაც ჰმფარველობს წმ. ნინოს საქველ-მოქმედო საზოგადოება. დღეს სასწავლებელში მოსამზადებელი კლასია ორის განყოფილებით და ოთხი კიდევ სხვა კლასი, ექვსის წლის კურსია, სამინისტრო დედათა პროგიმნაზიის პროგრამით. მხოლოდ უცხო ენებსა და მუსიკას შეუძლებლობისა და სიღარიბის გამო ვერ ასწავლიან შეგირდებს. სასწავლებელში არის პანსიონი, რომელშიაც იზრდება ახლა ოცი ქალი, ამათში სამი მათის უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორის ხარჯზეა, ერთი ვარანცოვის ხარჯზე, ექვსი ტფილისის დედათა წმ. ნინოს პანსიონიდამ არიან გამოგზავნილნი, ერთი თ. ჭავჭავაძეს სტიპენდიათია და ცხრანი თავის ხარჯით არიან.

უმთავრესი ენა სწავლებისა არის რუსული, თუმცა ასწავლიან ქართულსაც და სომხურსაც. სწავლების ფასი 20—24 მანეთამდეა. პანსიონში შესატანია წელიწადში 160 მან., ხოლო ახლად შესულმა უნდა შეიტანოს კიდევ მოსაწყობი 30 მან. სასწავლებელი მოთავსებულია საკუთარს შენობაში, რომელიც დაფასებულია ორმოც ათას მანეთად. ახლა სწავლობს სულ 131 ქალი.

სასწავლებლის წიგნთ-საცავში 68 სახელ-წოდების წიგნია, სულ 45 მან. ღირებული; სამოსწავლო წიგნთ-საცავში 94 სახელ-წოდების საკითხავი წიგნია, სულ 80 მან. ღირებული და 318 ცალი სახელმძღვანელო, 113 მ. და 40 კაპ. ღირებული.

საანგარიშო წელს სასწავლებელი დათვალიერებულ იქმნა სწავლა-განათლების ინსპექტორისაგან და ტფილისის გუბერნიის საერო სკოლების დირექტორისა და ტფილისის წმ. ნინოს დედათა სასწავლებლის ინსპექტორისაგან სამჯერ.

სასწავლებლის გამგეობაში არიან: თავმჯდომარე, სამი ქალი გამგეობისა და ერთი საქმის მწარმოებელი. ეს გამგეობა ითვლება განყოფილებად ტფილისის, ესრედ წოდებულ, წმ. ნინოს საქველ-მოქმედო საზოგადოების გამგეობისად და წევრნი მსახურებენ უსასყიდლოდ.

მასწავლებელნი და აღმზრდელნი არიან: ზედამხედველი ქალი, სწავლის საქმეში ზედამხედველი კაცი, ორი სალმრთო წერილის მასწავლებელი, ორი მასწავლებელი ქალი, სამი აღმზრდელი ქალი. ეს სამნი კიდეც ასწავლიან. საკუთარი მასწავლებლები არა ჰყავს სასწავლებელს. მასწავ-

---

დაცლასა და ტანჯვას. მთელი უბედურება მგლისა იმაში მდგომარეობს, რომ არ შეუძლიან იცოცხლოს, თუ ვისმე სიცოცხლე არ მოუსპო! ყველა ეს მგელს არ ესმის და არც უნდა შეისმინოს. მართალია, ბოროტს უწოდებენ, მაგრამ ისიც ბოროტებად სთვლის იმათ, ვინც იმასა სდევნის და ვისაც იმისი სიკვდილი ენატრება. განა მგელს ესმის, რომ ჩემის ცხოვრებით სხვას ვავნებო? მგელი ამ აზრს ადგია: „ცხენს ბარგი მიაქვს აქეთ-იქით, ძროხა იძლევა რძეს, ცხვარი მატყლს და მე-კი ვავაზაკობ, ვხოცავ სხვებსაო. ცხენიც, ძროხაც, ცხვარიც და მეც—ყველანი თავ-თავისს წესსა და რჯულზედ ვცხოვრობთო“.

იყო ერთი მგელი, რომელმაც თავისი დღენი ბოროტებაში გაატარა, მხოლოდ სიბერის დროს მიხვდა, რომ ჩემს ცხოვრებაში უკანონობაა რაღაცაო. ეს მგელი პატარაობიდგანვე სცხოვრობდა თავის ნებაზედ და ერთი იმ მტაცებელთაგანი იყო, რომელიც თავის დღეში არ მოიშლის. საწყალს მეცხვარეს თვალ-წინ ცხვარსა სტაცებდა, სოფლებში ძროხებს ჰკლავდა, ტყის-მცველი სასიკვდილოდ დაჰგლიჯა, ერთი ბავშვი შუა ქუჩიდგან მოიტაცა და გააქანა ტყისაკენ. ბოლოს გაიგო მგელმა, რომ ამ ბოროტ საქმეებისათვის მწყევლიანო, და ამ წყევლამ უფრო გაავკაცა. არავის ყურადღებას არ აქცევდა და ასე სჯიდა: „გაიგონ ტყეში რა ამბებია. ისე ერთი წამიც არ გაივლის, რომ სიცოცხლეს არ გამოესალმოს რომელიმე ცხოველი. განა მე იმათ წყევლას უნდა ვუგდო ყური და იმათის სურვილისამებრ მოვიქცეო?“.

ამ ვერაგობაში გაატარა მგელმა თავისი სიცოცხლე და სიბერეშიაც არ დამდგარა თავის ქერქში. ერთხელ როგორღაც ეს მგელი ჩაუვარდა დათვს თათებში. რასაკვირველია, დათვს მგელი არ ესიამოვნება, რადგანაც ხშირად ლაპარაკი გაისმის, რომ დათვს მგლები დაეცნენ და დაამარცხეს, ზურგზედ მტყერი აადინესო. უჭირავს დათვს თათებში მგელი და ჰფიქრობს: „რა უყო ამ ფლიდს! შევჭამო—სულს შემიხუთავს, მოვკლა და გადავაგდო—ამისი მძორი ჰაერს გააფუჭებს. მოდი ვნახავ, აქვს სინიდისი, თუ არა? თუ აქვს, რასაკვირველია, შემომფიცავს, რომ თავს დავანებებ ავაზაკობასაო, და მაშინ მეც ავდგები და განვათავისუფლებო“. ამ ფიქრის შემდეგ დათვმა უთხრა:

— მგელო, მგელო! ნუ თუ სინიდისი არა გაქვს?

— უი ჩემს თვალებს, რას მიბრძანებთ, თქვენო ბრწყინვალებავ! უპასუხა მგელმა: განა შეიძლება ადამიანმა ერთს დღეს მაინც უსინიდისოდ იცხოვროს ქვეყანაზედ!

— კარგი, თუ არ შეიძლება, მაშ შენ როგორა სცხოვრობ? განა სინიდისიანობაა, რომ ყოველ დღე შენზედ ლაპარაკობენ: „მგელმა ამასა-და-ამას ტყავი გააძრო, ესა-და-ეს დაკლა და სიცოცხლე მოუსპოვო!“

— თქვენო ბრწყინვალებავ! მომეცით ნება გკითხოთ: ხმა-ჭამა მინდა, თუ არა, ცოლ-შვილს გამოკვება უნდა, თუ არა? ყველა ამის შესახებ რა რჩევას მომცემთ სახელმძღვანელოდ?

დაფიქრდა დათვი. თუ რომ მგელს სიცოცხლე აქვს მინიჭებული, მაშ თავის გამოკვების ნებაც უნდა ჰქონდესო, იფიქრა და შემდეგ უთხრა:

— შენც სმა ჭამა გინდა და ცოლ-შვილსაც გამოკვება უნდა, რაღა თქმა უნდა.

მგელმა განაგრძო:

— მე, თუ არ ხორცს, ვერაფერს ვერა ვსჭამ და თქვენი ბრწყინვალება-კი, მაგალითად, ქოლსაც მიირთმევს, თაფლსაც წაეტანება ხოლმე. ჩემთვის-კი ყოველივე ეს გროშად არა ჰღირს, თუნდა აუარებელი მქონდეს კიდეც. თქვენს ბრწყინვალებას სხვა უფლებაცა აქვს მინიჭებული: მთელი ზამთარი თქვენთვის თქვენისავე თათის მეტი საჭირო არა არის-რა სალოღნელად, მე-კი ზამთარშიაცა და ზაფხულშიაც სულ საჭმლისთვის უნდა ვზრუნავდე და სულ ხორცის ძებნაში უნდა ვიყო. საიდგან ვიშოვნი ამ საჭმელს, თუ ან არავის დავკლავ და ან არავის დავარჩობ?

ცოტა დაფიქრდა დათვი მგლის სიტყვებზედ და ბოლოს უთხრა:

— ცოტა ხასიათ-სუბუქი ხარ.

— სუბუქი ვარ, თქვენო ბრწყინვალებავ, და ჩემს მსხვერპლსაც შემსუბუქებას ვაძლევ. მელა ჯერ ერთხელ მივარდება უბედურს მსხვერპლს, მერე მეორედ, მე-კი პირდაპირ მივარდები ხოლმე ყელში და ის არის, მშვიდობით.

დათვი ღრმად დაფიქრდა. ჰნახა, რომ ამ მგელს სიტყვა უჭრისო, მაგრამ იმის განთავისუფლებას მაინც ვერა ჰბედავდა, იცოდა, კიდევ თავს აიშვებს და თავის ავაზაკობას მიჰყოფს ხელსაო.

— მოინანიე ცოდვები, მგელო! უთხრა დათვმა.

— არაფერი მაქვს მოსანანიებელი, თქვენო ბრწყინვალებავ! თავის სიცოცხლის მტერი არავინ არ არის და არც მე ვარ. აბა რა ბრალი მიმიძღვის ისეთი?

— დამპირდი მაინც არის სულის მონანიებას.

— არა, არ შემიძლიან დაპირება, თქვენო ბრწყინვალებავ, ეგ საქმე მელას საქმეა და არა ჩემი. მე არ შემიძლიან.

რა უნდა ექნა დათვს? იფიქრა, იფიქრა და ბოლოს უთხრა:

— უბედური მხეცი ხარ ქვეყანაზედ. თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ შენი განთავისუფლება ცოდვაში მაგდებს, მაგრამ მაინც დაუსჯელად განგათავისუფლებ, მხოლოდ ამას-კი გეტყვი: შენს ადგილზედ არამც თუ სიცოცხლეს არ დაავფასებდი, არამედ სიკვდილს ვინატრებდი კიდეც. გირჩევ ამ სიტყვებს ჩაუფიქრდე!

ამ სიტყვებით დათვმა განათავისუფლა მგელი. განთავისუფლებისათანავე მგელი დაადგა ისევ ძველს გზას. იმის შიშით მთელი მთა და ველი ძრწოდა. ერთხელ მგელი ძალზედ გაძღა, მოსძებნა ჰარბი, მიწვა თავისუფლად და დაიწყო ზმორება, თვალების ზჭუტვა და სხვა. ერთიც ვნახოთ, ბოლოს ეს ჩვენი ბებერი მგელი მოემზადა საომრად დათვთან, რომლის თათებ შუა ამას წინად ისე კანკალებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებელნი მოწვეულნი არიან სამოქალაქო და სასულიერო სასწავლებლებიდგან.

სალმრთო წერილის მოძღვრებს მიეცათ წელს 470 მანეთამდის, ზედამხედველს ქალს 600 მან., მასწავლებელ ქალებს და აღმზრდელებს 1740 მან., მოწვეულ მასწავლებლებს 940 მანეთამდის. საშუალო სასყიდელი მოძღვართა 235 მან. მასწავლებელ კაცთა 134 მან. და მასწავლებელ ქალთა 348 მან.

წლის დამდეგს იყო 138 მოსწავლე, გასულს—131 მოსწავლე. 111 გარედამ მოსიარულენი არიან, 20 პანსიონშია. ამათში 14 რუსია, (11,5%), 75 ქართველია (57,2%), 42 სომეხია (32%); 88 მართლ-მადიდებლის სარწმუნოებისანი არიან (68,7 %), 42 გრიგორისანი და 1 კათოლიკე; 60 თავად-აზნაურია, 12 სასულიერო წოდებისა, 57 მოქალაქე და 2 გლეხი.

გალობას სწავლობს 127, ხელ-საქმეს 90, აბრეშუმის ჭიის მოვლას—35 მოსწ.

1890 წელს გაათავეს სწავლა 12. ამათში ოთხმა განაგრძო სწავლა; ერთი საუკეთესო შეგირდი, სულხანოვისა, გაგზავნილ იქმნა ტფილისის წმ. ნინოს დედათა სასწავლებელში გამგეობისაგან, ხოლო სამნი იქვე სწავლობენ თავის ხარჯით.

შემდეგ ამისა წაკითხულ იქმნა წლიური ანგარიში სასწავლებლის შესავალ-გასავლისა. ამ ანგარიშიდამ აღმოჩნდა, რომ სასწავლებელს სამი ათას მანეთამდის მეტი უნდება, ვიდრე შემოსავალი აქვს. აგრეთვე მომავალის წლის ხარჯთ-აღრიცხვიდგან აღმოჩნდა, რომ სასწავლებელი მოელის 5,670 მან. შემოსავალს და გასავალს-კი მოელის 8,700 მანეთამდის. ასეთი გაჭირებული მდგომარეობა სასწავლებლისა არის მიზეზი, რომ თავმჯდომარე გამგეობისა სცდილობს მთავრობის წინაშე როგორმე შესცვალოს ეს მდგომარეობა.

იგივ

# რუსეთი

მოსკოვის გუბერნიაში ამ ჟამად დამოგზაურობენ ეგვიპტელი ვაჭრები, რომელნიც შარშან ზაფხულზე მოვიდნენ რუსეთში, რათა გაეცნონ რუსეთის მრეწველობისა და ვაჭრობის ნაწარმოებს. იმათ, როგორც „Нов. Время" ამბობს, ნიჟეგოროდის იარმუკა დაუთვალიერებიათ და იქიდამ გამგზავრებულან ვისლის სანაპირო ადგილებში, სადაც დაწვრილებით გაუცვნიათ საქარხნო მრეწველობის საქმე ლოდზისა, სასნოვიცასა და თომაშევში. ამას შემდეგ მისულან პეტერბურგში და იქაც უნახავთ სამანუფაქტურო ქარხნები მაუდისა. ეხლა ეგვიპტელები ათვალიერებენ მოსკოვისა და ვლადიმირის გუბერნიის ქარხნებს. ამას რომ მორჩებიან, გასწევენ ხარკოვსა და ვორონეჟში ცხენის ჯიშის განსაკარგებელ სადგურის სანახავად. ეს მოგზაურნი რასაც-კი გასინჯავენ, ყველაფრის შესახებ დაწვრილებითს ანგარიშსა სწერენ თავისთვის.

— 10 იანვარს შუაღამისას ხარკოვსა და იმის ახლო-მახლო ადგილებში ისეთი ძლიერი ქარ-ბუქი ყოფილა, რომ ქუჩები და სახლის კარები სრულიად დაფარულა ღრმა თოვლით. ქუჩებში ჭაჭანება აღარ ყოფილა ადამიანისა. იარმუკის კარვები სრულიად დამარხულა თოვლში. რკინის გზაზე მატარებელთა მიმოსვლა სრულიად შეჩერებულა. ტელეგრაფის მავთულები ბევრს ალაგას დაზიანებულა და ბევრის მგზავრისათვის სიცოცხლე მოუსწრაფებია ამ საშინელს ქარბუქსა.

— პეტერბურგში სიფხიზლის საზოგადოებას განზრახვა აქვს ამ დღეებში გამართოს ყავახანა, სადაც ძლიერ იაფ ფასად უნდა ჰყიდონ საუკეთესო ჩაი, ყავა, რძე და სხვა-და-სხვა დასანაყრებელი საჭმელი. ასეთი ყავახანა უნდა გაჰმართონ იმისთანა ადგილას, სადაც განსაკუთრებით დაბალი ხალხი სცხოვრებს. ყავახანის გამართვას ის აზრი აქვს, რომ, რამდენადაც შესაძლებელია, დაბალი ხალხი გადაჩვიონ ლოთობას.

— პეტერბურგის გაზეთების სიტყვით, მოსკოვის საიმპერატორო თეატრის კანტორას განუზრახავს შეიძინონ სცენის მოღვაწეთა დამხმარებელ საზოგადოებისაგან გამოჩენილის არტისტის შჩეპკინის სურათი, რომელიც რეპინინს უჩუქებია დასახელებულ საზოგადოებისათვის. ამ სურათში უნდა მისცენ სამი ათასი მანეთი და უნდა დასდგან მოსკოვის პატარა თეატრის ფოიეში.

— მოსკოვის დრამატიული დასის არტისტ ქალს მედვედევასას 40 წლის სცენაზე მოღვაწეობისათვის ებოძა ოქროს მედალი.

# წვრილი ამბები

## ელექტრონი

ამ რამდენისამე თთვის წინად შეერთებულ შტატების ქალაქ მასაჩუსეტში თავის ერთის წლის დაარსების დღე იდღესასწაულა Thomson Scientific Club-მა. ამ დღესასწაულზედ სხვათა შორის ფრიად საყურადღებო სიტყვა წარმოსთქვა ცნობილმა ფიზიკოსმა და ელექტრო-ტეხნიკოსმა პროფესორმა ელი ტომსონმა იმის შესახებ, თუ მომავალში რა გზით აპირებს სვლას სატეხნიკო მეცნიერება და რითი აპირებს განდიდებას და გაძლიერებასაო.

ამ ჟამად მეცნიერების მიერ წინ წამოყენებულია განსაკუთრებით რამდენიმე პირველ-ხარისხოვანი და ფრიად შესანიშნავი საკითხი, რომლის გადაწყვეტა განამდიდრებს ადამიანის ჭკუა-გონებას, ადამიანს უფრო მეტად დაუმონებს ბუნებას და სრულიად შესცვლის და გადაასხვაფერებს ჩვენს ეხლანდელ ცხოვრებასა და იმის წეს-რიგს. დიდ-ძალი დიდებული და საოცარი ახალი ამბავი მოელის კაცობრიობას მერმისში, მაგრამ ყველაზედ მეტად შესანიშნავი და საყურადღებო-კი, ტომსონის აზრით, ელექტრონია. ამ მხრივ ეხლაც ძალიან წინ წასულია საქმე, მაგრამ შემდეგისთვის სამი ამდენი კიდევ სხვაა გასაკეთებელი და გადასაწყვეტი. დღე უდღეზ ელექტრონი თანდათან უფრო და უფრო დიდს ყურადღებას იქცევს, დიდს ადგილს იჭერს ჩვენს ცხოვრებაში. სულ ათიოდე წლის წინად საუკეთესო მაშინა დინამო ელექტრონისა 50—60 ცხენის მაგიერობას სწევდა, ეხლა-კი ისეთს მაშინებს აკეთებენ, რომ 300—500 ცხენის მაგიერობას შეიძლებს. რაღა თქმა უნდა, საქმე ძალიან განვითარდა, მაგრამ ცხოვრების მოთხოვნილება ძალას ატანს ადამიანს, რომ უფრო განავითაროს იგი, ეხლანდელზედ უფრო მეტი შეაძლებინოს. დღეს თუ არა, ხვალ დაგვჭირდება ისეთი ელექტრონის მაშინები, რომ ათასის ცხენის მაგიერობას გვიწევდეს და ერთის ადგილიდგან ფრიად შორეულს მანძილზედ გადაჰქონდეს სინათლე, სითბო და რისამე სამოძრავებელი ძალა. ეხლა მეცნიერება იმასა სცდილობს, რომ ერთის მართულით ეს სამივე საქმე გააკეთებინოს ელექტრონს; ეხლა ყოველ საგნის მოსახმარებლად ელექტრონს ცალკე მართული სჭირდება.

ეხლა ელექტრონს დიდი თავ-სახეთქი საქმე სჭირდება: ქვა-ნახშირსა სწვავენ და ორთქლის მაშინის შემწეობით სითბოს ორთქლად აქცევენ. ეს ორთქლი გადააქვთ დინამო-ელექტრონის მაშინაში და ელექტრონულ ძალად ჰხდიან. როგორც ჰხედავთ, ამ საქმეს დიდი მუშაობა სჭირდება, უშველებელი და ძვირფასი მაშინებია საჭირო და, მაშასადამე, ხარჯიც დიდი უნდა. ამ საქმეს განსაკუთრებით ის გარემოება აზიანებს და აფერხებს, რომ სითბო სრულიად არა ჰხმარდება ორთქლის კეთებას, არა მცირედი ნაწილი სრულიად უკარგისად იკარგება; ამას გარდა ორთქლის მაშინიდგან ორთქლის დინამო-ელექტრონის მაშინაში გადატანასაც თავისი ხარჯი აქვს. ეჭვი არ არის, თუ ეს რთული და ძვირი საქმე ელექტრონის მოპოვებისა უფრო არ გაადვილდა და არ გაიაფდა, ვერ გავრცელდება, ყველგან ვერ შესდგამს ფეხს. რომ შესაძლებელი იყოს ელექტრონის პირდაპირ ქვა-ნახშირიდგან მოპოვება, მაშინ უფრო ხელ-საყრელი და ადვილი, იაფი იქნებოდა მისი მოხმარება. აი ეხლა ამის ძიებაშია მეცნიერება და სცდილობს ელექტრონის მოპოვების საქმე გააადვილოს როგორმე. ელი ტომსონი ამბობს, რომ ეს ნაკლიც აცილებულ იქმნება ჩქარა, ამის მოხერხებას დიდი ლოდინი არ მოუნდება და მაშინ კაცობრიობის ცხოვრებაში ახალი ხანა დადგება, ხანა ელექტრონის მეფობისაო.

ელი ტომსონი ღრმად არის დარწმუნებული, რომ რკინის გზებზედ ყველგან ელექტრონს იხმარებენ სამოძრავებელ ძალად და მატარებელი მაშინ გაცილებით უფრო ჩქარა ივლის, ვიდრე ეხლა. როცა ორთქლს სრულიად განდევნის ელექტრონი, მაშინ, ეჭვი არ არის, ხარჯიც ნაკლები მოუნდება ამ საქმეს და მოგზაურებიც უფრო სწრაფად და მცირედის ფასით შეიძლებენ ერთის ადგილიდგან მეორეში გადასვლას. ამას გარდა ეხლა რკინის გზა თავისდა თავად მძიმე ტვირთია, ძალიან მძიმე ორთქლმავალი აქვს მობმული და გზა-გზა მოსახმარ ქვა-ნახშირის საწყობი. ელექტრონის შემოღების შემდეგ ესეც არ იქმნება საჭირო და ამითიც განმარტივდება საქმე. ეხლა თუ 60 ვერსამდე ძლივს გარბის რკინის გზის მატარებელი, რაც უნდა ჩქარი და სწრაფი იყოს, მაშინ 150—225 ვერსის გავლას შეიძლებს საათშივე და ამ მხრივაც საქმე განკარგდება და გაუკეთესდება.

ამის გარეშე ელექტრონი კიდევ ბევრს რასმეშია გამოსაყენებელი. ჯერ ეხლა ელექტრონი დიდს სამსახურს უწევს მდვიმე-მაღაროებიდგან ლითონის ამოღების საქმეს. მე იმის თქმასაც-კი ვბედავო, უთქვამს ელი ტომსონს, რომ რადგან თვით მცენარეულობის ზრდა ქიმიურს ცვლილებაზეა დამყარებული და რადგან ელექტრონს იმდენი ძალა აქვს, რომ ეხლავე ლაბორატორიებშია შესაძლებელი ქიმიურ ცვლილებათა მოხდენა, დრო დადგება ისეთი, რომ ჩვენს საჭმელსაც ელექტრონის შემწეობით მოვამზადებთ. ქიმიურს ელემენტებს ისე შევაზავებთ ერთმანეთში, როგორც მცენარებია შეზავებული, და პირდაპირ ვისარგებლებთ ბუნების ძლიერებით.

ელი ტომსონისავე სიტყვით, ეხლა ფიზიკოსნი და ტეხნიკოსნი იმის გადაწყვეტაში არიან, რომ როგორმე მოიპოვონ სანათლე უსითბოთ. ეხლანდელს ელექტრონის ლამპარს, მართალია, დიდი სინათლე აქვს, მაგრამ ამასთანავე იგი სითბოსაც იძლევა, სითბოს

---

დათვმა, თავის ბედზედ, მალე შეიტყო ამბავი და თავს უშველა, მხოლოდ შორიდგან დაემუქრა. მგელი ძალზედ მოხუცდა: ღონე გამოელია, სიმარდე აღარა ჰქონდა და ყველა ამას ზედ დაემატა კეტიც, რომლითაც ხერხემალი დაუმტვრიეს. მგელი მაინც იმედს არა ჰკარგავდა; და ხერხემლის მორჩენას ელოდდა. მართლაც ხერხემალი მოურჩა, მაგრამ წინანდელი სიმარდე-კი აღარა ჰქონდა. გამოუდგებოდა კურდღელს, მაგრამ ფეხები არ ემორჩილებოდა, მიეპარებოდა ფარას, მაგრამ ძაღლის დანახვისათანავე კუდ-ამოძუებული და ხელ-ცარიელი გამორბოდა უკან. „ღმერთო, რას მოვესწარი, ძაღლებისაც-კი მეშინიანო!" ეუბნებოდა მგელი თავის თავს.

ერთხელ მგელმა როგორღაც ბატკანი მოიტაცა და ტყისაკენ გაექანა. მააქანებს მგელი ბატკანს და უგუნურს ბატკანს-კი არ ესმის, სად და რისთვის მიჰყავართო, მხოლოდ მძიმედ ეკითხება: „რა ამბავია, რა იყო?" მგელმა წყრომით მიუგო: „მე შენ გაჩვენებ, შე საძაგელო, რაც იყო!" „ბიძიკო, არ მინდა ტყეში სეირნობა, დედასთან მირჩევნია ყოფნა", ეუბნება ბატკანი მგელს. მგელი მაინც თავისას არ იშლის. ბოლოს მიხვდა ბატკანი, რა ამბავიც იყო იმის თავს, და დაიწყო ყვირილი: „ჰოი, მეცხვარევ, მეცხვარევ! ჰოი, ცუგრებო, ცუგრებო!" მგელი უეცრად შედგა ამ ყვირილზედ, ყური მიუგდო და გაჰკვირდა.

ბევრი ცხვარი დაეკლა თავის სიცოცხლეში, მაგრამ ყველა ისე ემორჩილებოდა, თითქო დიდი რამ დანაშაული მიუძღოდეს იმის წინაშეო. ეს პატარა ბატკანი-კი ჰყვირის და მოსთქვამს, სჩანს, სიცოცხლე ყველასათვის ტკბილი ყოფილა. თუ თითონ მოხუცებულია და სიცოცხლე უნდა, რასაკვირველია, პატარა ბატკანსაც ენდომება. ამ დროს მგელს მოაგონდა დათვის სიტყვები: „შენს ადგილზე არამც თუ სიცოცხლეს არ დავაფასებდი, არამედ სიკვდილს ვინატრებდი კიდეცაო". რად უნდა იყოს ყველასათვის სიცოცხლე სასიამოვნო და ჩემთვის-კი შეჩვენება და სირცხვილი? იკითხა მგელმა და პასუხი ველარ მოახერხა. დაანება თავი ბატკანს, წავიდა თავის სოროში და თავი ამ აზრის გამორკვევის ფიქრს მისცა. ბევრი იფიქრა, ბევრი იტეხა თავი, მაგრამ თავისმა ჭკუა-გონებამ მგელს არაფერი არ გამოურკვია იმის მეტი, რომ მგელი ვარ და ისე ვერ ვიცოცხლებ, თუ რომელიმე ცხოველი არ გამოვასალმე წუთი-სოფელსაო.

დაწვა მგელი პირ-ქვე და არის ტანჯვაში: ჭკუა ერთს ეუბნება და გული-კი—მეორეს. სნეულებამ დააუძლურა, სიბერემ დაამხო, თუ შიმშილმა დასტანჯა, არ იცის, მხოლოდ წინანდელი უზრუნველობა-კი ხელიდგან გაუფრინდა. ყურებში ის-ღა მოესმის: „წყეულო, სულთამხუთავო, შეუბრალებელო!" მართალია, მგელი თავის თავს დანაშაულად არა სთვლის, მაგრამ ხალხს ხომ ტუჩზედ ხელს ვერ დააფარებს და წყევლას ვერ დააშლევინებს! ტყუილად-კი არ უთხრა დათვმა: ღმერთს შეჰხედეო! ეჰ, საუბედუროდ, მხეცია და არ იცის ღმერთის შეხედვა! თავისით მხეცს არ შეუძლიან არც ცხოვრების გამოცვლა და არც სიკვდილი. შეიძლება ძაღლებმა გაძიძგნონ და ან კიდევ გლეხებმა თოფით მოჰკლან, შესაძლოა აგრეთვე ძილში ხვრინვის დროს სული ამოხდეს, ისე რომ საიდგან მოხდა და როგორ, ვერაფერი გაიგოს. იქნება შიმშილითაც მოკვდეს. ეხლა კურდღლების დევნას თავი დაანება, მხოლოდ ფრინველებს ეტანება, და იჭერს ახალგაზრდა ყვავებს და სხვა ფრინველებს და მით კმაყოფილდება, მაგრამ აქაც გაიძახიან: „წყეულო, წყეულო, წყეულოო!" „მართლაც წყეული ვარო, ამბობს მგელი, ნუ თუ იმისთვის ვცხოვრობ, რომ სხვებს სიცოცხლე მოუსპო უდროოდ? ვსთქვათ, ხალხის წყევლას საბუთი არა აქვს! მე ხომ ჩემის ნებით არა ვმტაცებლობ! მაგრამ არა, როგორ არ დამწყევლონ? რამდენი ცხოველი გამომისალმებია წუთი-სოფლისათვის ჩემს სიცოცხლეში, რამდენი საწყალი დედაკაცი და გლეხი დამიტოვებია პირ-მშრალი და გულ-ხელ დაკრეფილი და მთელი სიცოცხლე გამიმწარებია იმათთვის!"

ბევრი წელიწადი გაატარა მგელმა ამ ფიქრებში და სიკვდილამდის მარტო ერთი სიტყვა-ღა ესმოდა: «წყეულო!» მგელი თითონაც იმეორებდა ამ სიტყვას, მარტო რომ დარჩებოდა და ფიქრს მისცემდა ხოლმე თავს: „წყეული, სულთამხუთავი და ბოროტი ვარო", მაგრამ ისევ მიდიოდა სანადიროდ, იჭერდა ცხოველებს, არჩობდა, ჰგლეჯავდა ნაწილ-ნაწილად და ისე სჭამდა. ბოლოს დაუწყო მგელმა სიკვდილს ძახილი: „სიკვდილო, სიკვდილო, შენ მაინც განათავისუფლე ჩემგან გლეხები, ცხოველები და ფრინველები, შენ მაინც განმათავისუფლე თვით მე თავისა ჩემისაგანვეო!" ასე ჰღმუოდა დღე და ღამ, ზეცაში თვალებ-მიბჯენილი. გლეხები და ცხოველები გაიგონებდნენ თუ არა იმის ხმას, მოჰყვებოდნენ წყევლას. უბედურ მგელს ისე გაუჭირდა ცხოვრება, რომ ღვთის ვედრებასაც არ აცლიდნენ, ყოველის მხრიდგან წყევლა ესმოდა.

როგორც იყო შეიწყნარა მგლის აჯა და მუდარა სიკვდილმა: მოვიდნენ იმ მხარეში ისინი, რომელნიც სწავლობდნენ გარეულ მხეცების ზნე-ჩვეულებას და ასწავლიდნენ სხვებს ხერხს იმათ დასაჭერად. ამით ისარგებლეს ახლო-მახლო მცხოვრებლებმა და გაანადირეს მგელზედ. მგელი იწვა სოროში, როცა შემოესმა ყვირილი. გამოვიდა დასათვალიერებლად და ჰნახა, რომ გარეშემო ხალხი ეხვია. გაქცევას თავი დაანება, დამორჩილდა ბედს და თავ ჩაკიდებული ნელის ნაბიჯით გასწია ერთის მხრისაკენ. უეცრად გავარდა თოფი, ტყვია შუბლში მოხვდა და იმის არამს სიცოცხლეს ბოლო მოუღო სიკვდილმა: „ოჰ, სიკვდილო, ადამიანის ტანჯვათა და მწუხარებათაგან დამხსნელო!!!"

მ. გ-ო-გ-ძე

ჩვენთვის სრულიად გამოუსადეგარსა და გამოუყენებელს. მით უფრო სამწუხაროა ეს გარემოება, რომ ამ ჩვენთვის არ-გამოსადეგ სითბოზედაც საკმაოდ ბევრი ელექტრონი იხარჯება. რომ შევიძლოთ როგორმე, სითბოს სხივები გავაცალკევოთ სინათლის სხივებისაგან, სინათლე იმდენად გაიაფდებოდა, რომ თითქმის მუქთად შეგვეძლებოდა მისით სარგებლობა. ეს საქმე ეხლა უკვე მიება-კვლევაშია, დღევანდელის დღის საქმეა და უეჭველია დღეს-ხვალ გადაწყვეტილი იქნება კიდეც.

როგორც ზემოდ ვსთქვით, ელი ტომსონმა სხვათა შორის ისიც მოიხსენია, რომ შესაძლებელია შემდეგში ჩვენი საჭმელი და საზრდოც ელექტრონის შემწეობით მოვიპოვოთ და პირდაპირ გავაკეთოთ სახამებელი და კვერცხის ცილა, რომელიც ისე მოჭარბებით ურევია ყოველ მცენარეულობაშიო. ამის შესახებ ეხლა ერთი და ორი ფიზიკოსი არა ჰლაპარაკობს. ჯერ კიდევ ამ სამის წლის წინად გამოჩენილმა გერმანიის ქიმიკოსმა ფერდინანდ კონმა განაცხადა, რომ მცირეოდენს ხანს შემდეგ ახალი, ბედნიერი ხანა დადგება კაცობრიობის ცხოვრებაში და ეს მაშინ იქნება, როცა ნახშირ-მჟავბადისა და წყლის შემწეობით სახამებელს გავაკეთებთო. ამ წელიწად ნახევრის წინად გერმანიის ექიმთა და ნატურალისტთა მე-62 კონგრესზედ ჰეიდელბერგში ამავე საგანს შეეხო მეორე გამოჩენილი ქიმიკოსი, ვიქტორ მეიერი. მეიერმა სთქვა, რომ კონის წინასწარმეტყველებისა-კი რა მოგახსენოთ და ის-კი აშკარაა, რომ ჩქარა შევიძლებთ ხის უჯრედების სახამებლად გაკეთებას. ხოლო თუ ეს შევიძლეთ, პურის წუხილი აღარავის ექნება ამ ქვეყანადაო.

## წერილი რედაქციის მიმართ

(ჩვენის თეატრის გამო)

ამ ბოლო დროს ქართულ თეატრის საქმე უკუღმართად დატრიალდა და ჩვენმა საზოგადოებამაც ყურადღება მიაქცია ამ დიდ სამწუხარო გარემოებას. ყველასაგან სამდურავი ისმის და ეს სამდურავიც უსაბუთო არ არის: ხან წარმოდგენას გადასდებენ, ზოგჯერ ერთს პიესას აცხადებენ და მეორეს თამაშობენ. ეს კიდევ არაფერი. სავალალო უფრო ისაა, რასაც რუსული გაზეთი „Нов. Обоз." მოგვითხრობს. ამ გაზეთის № 2438-ში ნაამბობია, რომ ოცს ამ თთვისას ქართულს სცენაზედ უთამაშნიათ მოედნიდგან მოსულს მრეცხავებს და სასტუმრო „სტამბოლიდამ" მოყვანილს მოსამსახურეებს. თეატრის ამაზედ მეტი შელახვა და შეურაცხება რაღა იქნება?! მაგრამ ვის უნდა დაედოს ეს ბრალი? ამბობენ, დრამატიულ საზოგადოების კამიტეტსაო. იქნება, ცოტად მაინც, ბრალი ამ კამიტეტისაც იყოს, მაგრამ საქმე-კი სხვაფრივ არის. თქვენს გაზეთ „ივერიაში" (№ 16) მოხსენებული იყო, რომ თუმცა ამ ჟამად ქალბატონი საფაროვისა, ავალიშვილისა და ჩერქეზიშვილისა ტფილისში იმყოფებიან, მაინც წარმოდგენაში მონაწილეობა არ მიუღიათო. მაგრამ რატომ? იქნება საზოგადოებას ეგონოს, რომ დასახელებულნი, თეატრის მოღვაწენი გაუდგნენ საზოგადო საქმეს? სრულიადაც არა. თუ დროებით ხელი აიღეს თამაშობაზედ, ამის მიზეზი ჩვენის თეატრის აწინდელი რეჟისორი ბ-ნი ვ. აბაშიძეა. რაკი რეჟისორობა ხელთ იგდო, ჩვენს არტისტს ეგონა თეატრიც ჩემი საკუთრებაა და მოთამაშენი კიდევ ჩემი ყურ-მოჭრილი ყმებიო. თეატრის შემოსავლიდგან ზოგიერთ არტისტს თითო-ოროლა მანათს თუ მიაწოდებს, თითქო მოწყალების გაცემა დასჩემებიაო, და ბევრს ხომ არც ამ მოწყალეას აღირსებს ხოლმე. კარგია უსასყიდლოდ საზოგადოებისთვის მოღვაწეობა, როცა ამას გარემოება თხოულობს, მაგრამ თუ შრომას ფასი მოაქვს და საერთოდ მონაგებს ერთი კაცი ჰულაპავს, თუნდა იგი კაცი რეჟისორიც ბძანდებოდეს, მაშინ სხვა მეტი რა ღონეა, თუ არა საქმის თავის დანებება? აი სად არის უმთავრესი მიზეზი, რომ ნამდვილი მოთამაშენი დროებით გადუდგნენ ჩვენს თეატრს და სცენა დაუთმეს მრეცხავებსა და სასტუმროს მოსამსახურეებს... მე არას ვიტყვი, თუ რა პირადი დამოკიდებულება აქვს ბ-ნს რეჟისორს არტისტებთან. ერთის ანდაზისა არ იყოს, სახლიდგან ნაგვის გატანა თუმცა ბევრჯელ კარგია, მაგრამ ამასაც შესაფერი დრო და ადგილი უნდა... თუ კომიტეტი და ან საზოგადოება ამ მხრივაც გამოიძიებს საქმის ვითარებას, ყოველ შემთხვევაში ბრალი არტისტებს არ ედებათ.

ერთი არტისტთაგანი

# დეპეშა

25 იანვარი

(საკუთარი კორრესპონდენტისაგან)

**ქუთაისი.** დღეს ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობამ და სასამართლოს უწყების მოხელეებმა სასამართლოს თავმჯდომარისა, ქალაქის თავისა და სხვა უწყებათა წარმომადგენელების თანადასწრებით გადიხადა პანაშვიდი განსვენებულის ქუთაისის ოლქის სასამართლოს ნათავმჯდომარალის ნიკოლოოზ ლაზარეს ძის ყაითმაზოვისა. თავად-აზნაურობის წინამძღოლმა გაუგზავნა განსვენებულის ქვრივს შემდეგის შინაარსის დეპეშა: „ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობამ, დიდის მწუხარებით შეპყრობილმა, მოიგონა რა მისი ოცის წლის განმავალობაში უნაკლულო და უზადო სამსახური სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობაში, გადიხადა დღეს პანაშვიდი და თავის თავს ვალად რაცხს გამოგიცხადოთ გულითადი მწუხარება.

თავად-აზნაურობის წინამძღოლი
თ. წერეთელი და გერენშტეინი".

24 იანვარი

**მოსკოვი.** მეხუთე მორიგმა კრებამ რკინის გზათა მეორე ჯგუფისამ გადასწყვიტა, რომ მუშათათვის საშეღავათო ტარიფები უნდა დააწესოთ, ასე რომ 30—40% დაეთმოთო; ამ აზრით განზრახვა აქვთ დაჰბეჭდონ პაწია წიგნაკები—მოწმობები, რომლის წესებიც შემდეგ უნდა შეიმუშაონ. ამ გარდაწყვეტილებას რკინის გზებისას ბევრი საგემ-ხომალდო საზოგადოებაც მიემხრო.

**ვენა.** „Pester Lloid"-ი იუწყება, რომ ერც-ჰერცოგმა ფრანც-ფერდინანდმა ხელმწიფე იმპერატორთან წაიღო ავსტრიის იმპერატორის მიერ საკუთარის ხელით მასთან მიწერილი წერილიო.

25 იანვარი

**ახალბადი.** ბუხარიდგან მოსულ ცნობებიდგანა სჩანს, რომ ტყუილია, ვითომ ავღანისტანის ემირი აბდურახმანხანი გარდაიცვალაო.

**ვენა.** გაზ. „Fremdenblatt"-ი ერც-ჰერცოგ ფრანცი ფერდინანდის დსესტეს პეტერბურგში წასვლის შესახებ ჰლაპარაკობს და ამბობს, რომ თუმცა ეს ამბავი სასიამოვნო მოვლენად ჩაითვლება, მაინც დიდი შეცდომა იქმნებოდა რომ გვეფიქრა, ვითომ მოგზაურობა ესე საპოლიტიკო აზრით იყოს გამოწვეულიო. ჩვენ იმდენადვე დარწმუნებულნი ვართ, რომ რუსეთის მეფე მშვიდობიანობას არის მოწადინებული რუსეთისა და ევროპისათვის, როგორც თვით იგია დარწმუნებული, რომ უანგაროდ ჰმოქმედობს აღმოსავლეთის პოლიტიკაში ავსტრი-ვენგრიაო. ერც-ჰერცოგი ფრანც-ფერდინანდი თავისის მოგზაურობით დარწმუნდება, რომ რუსეთის იმპერატორს გულ-წრფელობისა, სიმართლისა და სხვა ღირსებისათვის საზოგადოდ ყველა პატივსა სცემსო.

პეტერბურგის ბირჟა, 22 იანვარი.

| | მყიდველისა | გამყიდველისა | გაყიდულისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | — „ | — „ | 6 92 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | 138½ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | 1 06 | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — „ | — „ | 238½ |
| —მეორისა . . . . | — „ | — „ | 225½ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის ფურცელი . . . . . | 215¼ | — „ | 213¼ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა. . . . | — „ | — „ | — „ |


# განცხადებანი

ქართველთა ამხანაგობის გამგეობისაგან.

ქართველთა ამხანაგობის გამგეობა ბოდიშს იხდის „კედლის კალენდრის" მყიდველთა წინაშე, რომ ზოგიერთ ეგზემპლიარში ფურცლები გადმოურებულია, რაც მოხდა მკაზმავის უყურადღებობისა გამო. მომავალში კალენდარი აკინძული იქმნება თანდასწრებით ჩვენის კაცისა, რათა ამ გვარი მიუტევებელი შეცდომა არ განმეორდეს. (3—2)

გამოვიდა და ისყიდება
„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" და ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში:

## ბორკილი

დრამა ოთხს მოქმედებად
თხზულება
ა. ი. სუმბათაშვილისა
თარგმან. ა. ვ. ახნაზაროვის.

დრამას წინ უძღვის მთარგმნელის წინასიტყვაობა, რომელშიაც მოთავსებულია ბიბლიოგრაფია თ. სუმბათაშვილის პიესებს შესახებ, და მოთხრობილია ავტორის მცირე ბიოგრაფია.

ფასი 40 კაპ.




ს.-პეტერბურგის საექიმო გამგეობის ნება-დართული
ფხვნილი
თმისა და ბალნის მოსაცილებლად
(Poudre dépilatoire)
გ. ქ. ბრიუნინგისა, მაინის ფრანკფურტში.
ეს თმისა და ბალნის მოსაცილებელი საშუალება უხამიანი არ არის და სრულიად უვნებელია.
შუშა ჰქირს ბეწვის კალმიანად 2 მან. 50 კაპ., სხვა ქალაქში გაგზავნით 3 მან.
იყიდება ს.-პეტერბურგს. ალექსანდრე ვენცელთან, ეკატერინეს უბანში № 26. (8—7)

«წერა-კითხვის საზოგადოების» წიგნის მაღაზიაში
ისყიდება შემდეგი სახელმძღვანელონი, შედგენილნი გოგებაშვილის მიერ

**Русское Слово**, ნაწილი პირველი, გამოცემა მეორე, შესწორებული და შევსებული, მრავალი სურათებით და რუსული ლექსნით. ფასი ექვსი შაური. ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის არა ნაკლებ ოც-და-ათის ცალისა, წიგნი დაუთმობა ხუთ შაურად. ყდისათვის დაემატება რვა კაპეიკი.

**Русское Слово**, ნაწილი მეორე, გამოცემა მეორე, შესწორებული და შევსებული, მრავალი სურათებით; ფასი ორი აბაზი. ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის არა ნაკლებ ოც-და-ათის ცალისა, წიგნი დაუთმობა 32 კაპეიკად. ყდისათვის დაემატება რვა კაპეიკი.

**Руководство** для учителей къ преподаванію по Русскому Слову". ფასი ათი შაური. ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის არა ნაკლებ ათის ცალისა, წიგნი დაუთმობა ორ აბაზად.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# ივერია

1891 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 12 თთვით. . . | 10 მ.—კ. | | 6 თთვით. . . | 6 მ.—კ. |
| 11 „ . . . | 9 „ 50 „ | | 5 „ . . . | 5 „ 25 „ |
| 10 „ . . . | 8 „ 75 „ | | 4 „ . . . | 4 „ 70 „ |
| 9 „ . . . | 8 „ — „ | | 3 „ . . . | 3 „ 50 „ |
| 8 „ . . . | 7 „ 25 „ | | 2 „ . . . | 2 „ 50 „ |
| 7 „ . . . | 6 „ 50 „ | | 1 „ . . . | 1 „ 75 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია" მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Тифлисъ, Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ".**

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, არა საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოოზის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

გამოვიდა და ისყიდება
„წერა-კითხვის საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში

## „ისტორიული ნარკვევი"

ანუ
ქრისტომატია საქართველოს ისტორიისათვის
შედგენ. ალ. ჭყონიას მიერ
ფასი 1 მან. 50 კაპ.

ქალაქს გარეთ ისყიდება: გორში—ირაკლი რამიშვილთან, ოზურგეთში—თავართქილაძესთან, ქუთაისში—წიგნის მაღაზიებში ჭილაძეებისა და წერეთლებისაში და ბათუმში—მათე ნიკოლაძესთან.


Тифлисъ, Дов. цен. 25-го Января 1891 г. Типографія Я. А. Мансвѣтова, уголъ Баронской и Лорисъ-Мелик. д. бр. Месхіевыхъ. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.